



]

# საქართველო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2924  
09/08/2016

2924-01-4-201608091643



ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 1989–1998 წლებში დაბადებული  
წვევამდელეების სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2016 წლის  
საშემოდგომო გაწვევის ორგანიზებულად წარმართვისათვის  
განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №349 დადგენილებით გამოცხადდა წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2016 წლის საშემოდგომო გაწვევა. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაწვევის ორგანიზებულად წარმართვისათვის, საჭიროა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდეს რიგი ღონისძიებები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე. ქვეპუნქტის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე,

### **გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 1989–1998 წელს დაბადებული წვევამდელეების საშემოდგომო გაწვევა ჩატარდეს 2016 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

2. დამტკიცდეს წვევამდელთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

შოთა მურღულია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

ვალერი ყენია – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის უფროსი,  
თავმჯდომარის მოადგილე;

შორენა მარგველაშვილი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ზვიადი ვაჭარაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის პირველადი სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილების უფროსი;

ვასილ თუთბერიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის სამობილიზაციო განყოფილების უფროსი;

გოჩა მოწონელიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის პირველადი სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

დავით არშილავა - შსს ქალაქ ქუთაისის სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უბნის ინსპექტორ -გამომძიებელი;

ვახტანგ ჩხეტია - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სამხედრო კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს მე-4 სამსახურის უფროსი ინსპექტორი.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასაწვევი წვევამდელეების გამწვევ კომისიაზე წარმოსადგენად და შემდგომში ქალაქ თბილისში გამწვევ პუნქტზე ტრანსპორტით ორგანიზებულად გადასაცვანად საჭირო მატერიალური და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.

4. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის № 349 დადგენილების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს ეთხოვოს გაწვევის პერიოდში დახმარება გაუწიოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

5. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალეზ პირადად.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქ.№ 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურდულია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი